სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"–ს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. თბილისი 21 მაისი 2018 წელი

სხდომას უძღვებოდა:

ზვიად როსტომაშვილი - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორი - კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი შალუტაშვილი - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის პირველი მოადგილე - კომისიის წევრი;

მამია მორალიშვილი - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის მოადგილე - კომისიის წევრი;

გიორგი თინაძე - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის მოადგილე - კომისიის წევრი;

ირმა ხუფენია - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" - ადმინისტრაციის უფროსი - კომისიის წევრი;

ლელა სვიმონია - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ზვიად როსტომაშვილი - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორი - აპარატის ხელმძღვანელი;

გიორგი გაბიძაშვილი - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - აპარატის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:

დავით მესხიშვილი - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის სამსახურის უფროსის მოადგილე - აპარატის წევრი;

დღის წესრიგი: 2018-2019 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩასატარებლად შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციისა და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების პირობების მომზადება.

აღწერილობითი ნაწილი:

ს.ს.ი.პ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის სამსახურში სამშენებლო-საპროექტო სამსახურის 2018 წლის 12 თებერვლის N148834 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილია ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 3 967 200.00 ლარს, ხოლო წლების მიხედვით სავარუდო ღირებულება განწილებული იყო შემდეგი მოცულობით: 2018 წელს ათვისებული იქნება სავარაუდოდ 1 500 000.00 ლარი, ხოლო 2019 წელს სავარაუდოდ 2 467 200.00 ლარი.

წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა განსაზღვრულია 12 (თორმეტი) თვით.

ვინაიდან, სამუშაოების დასრულება და შესაბამისი ანგარიშსწორება ვერ მოესწრებოდა მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვის პროცედურით განხორციელების საკითხი შეთანხმდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან (N04-02/37456 – 20/03/2018; სააგენტოში რეგისტრაციის N311003; 21/03/2018).

სამოტივაციო ნაწილი:

შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოებზე საგარანტიო ვადები განისაზღვრება არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მაისის N543553 სამსახურებრივ ბარათში მითითებული ვადების შესაბამისად, ტენდერის შედეგად გაფორმებულ ხელშეკრულებაში:

1. სახურავი - 10 წელი ქანობიანი გადახურვა, 5 წელი რბილი გადახურვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. კარ-ფანჯრები - მეტალოპლასტმასი-5 წელი, საკეტები-1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები -10 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. შენობის შიდა მოპირკეთება - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ფასადის და სარინელის სამუშოები -5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სამღებრო სამუშაოები - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. სანტექნიკა და ელექტროობა - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. გათბობის სისტემა - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. საქვაბე მეურნეობის აგრეგატები - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
10. იატაკი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. კონსტრუქციები (ახალი შენობის მშენებლობის შემთხვევაში) - 20 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
12. წყალსადენისა და კანალიზაციის გარე ქსელი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
13. ღობე - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
14. სხვა დანარჩენი - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
15. ლიფტი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
16. ლიფტის საექსპლოატაციო ვადა- 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
17. ამწე მოწყობილობა 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

შესყიდვის ობიექტის სირთულიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრეტენდენტებისა და მათი პერსონალის გამოცდილების/კვალიფიკაციის, ასევე პრეტენდენტთა ფინანსური შესაძლებლობების დამადასტურებელი მოთხოვნების განსაზღვრას. მოთხოვნების დადგენისას დაცული უნდა იქნას ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, რაც გულისხმობს კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნების შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის, მოცულობის და მიწოდების ვადის გათვალისწინებით შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში პირდაპირ და პროპორციულად განსაზღვრას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა გამოცდილების მიმართ წაყენებული მოთხოვნები მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) პრეტენდენტს 2015 წლის 01 იანვრიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე უნდა ჰქონდეს შენობის (არ იგულიხმება გზა, ხიდი, გვირაბი) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების გამოცდილება 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარის ღირებულებით, მათ შორის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობით, რომელზეც წარმოდგენილი უნდა იქნას დამკვეთის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. გარდა ამისა პრეტენდენტმა მოთხოვნილი სამუშაოების შესრულების დასტურად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებ(ები)ა, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ანგარიშფაქტურ(ები)ა (არსებობის შემთხვევაში) ან ანგარიშსწორების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

ბ) სარეკომენდაციო წერილში მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღი,ხელშეკრულების ნომერი, შესყიდვის ობიექტის დასახელება, შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ინფორმაცია იმის შესახებ რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია სრულად და ჯეროვნად და ასევე ინფორმაცია იქნა თუ არა მიმწოდებლის მიმართ გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები (იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია საჯარიმო სანქციები აღნიშნული გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).

გ) არარეზიდენტის, წარმომადგენლობა/ფილიალის და ამხანაგობის (იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია უცხოური კომპანიის გამოცდილება) გამოცდილების დამადასტურებელი

დოკუმენტაცია დადასტურებული უნდა იყოს საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ე.წ დიდ ოთხეულში შემავალ კომპანიებს (Big Four Accounting Firms).

პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნების პუნქტი მიზანშეწონილია ჩამყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პრეტენდენტმა ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა გამოყოს პროექტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე (მინიმუმ ერთი ადამიანი) და მთავარი ინჟინერი (უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე პასუხისმგებელი პირი), რომელთაც წარმატებით აქვთ განხორციელებული არანაკლებ ორი მსგავსი პროექტი (იგულისხმება შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები). მათი გამოცდილების დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მონაცემები თანდართული ფაილების (პროექტის ხელმძღვანელი, მოადგილე, მთავარი ინჟინერი) შესაბამისად და კანდიდატების წერილობითი დადასტურება, რომ ისინი მზად არიან უხელმძღვანელონ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას“;

ფინანსური შესაძლებლობების მიმართ წაყენებული მოთხოვნები მიზანშეწონილია განისაზღვროს შემდეგი პირობით: „პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს, რომ სხვა კონტრაქტების ფარგლებში საავანსო გადახდების გარდა გააჩნია ან/და ხელი მიუწვდება ფინანსურ რესურსებზე, მათ შორის დამტკიცებული საკრედიტო ხაზი (რომლის შემთხვევაშიც მითითებული უნდა უნდა იყოს დარჩენილი რესურსი და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ რესურსზე პრეტენდენტს ხელი მიუწვდება ბანკთან დამატებითი შეთანხმებებისა და საკრედიტო კომიტეტზე განხილვის გარეშე). ხელმისაწვდომი რესურსი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს. აღნიშნულის დასტურად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა მომსახურე ბანკიდან“.

შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე მნიშვნელოვანია საავანსო გადახდის პირობების განსაზღვრა. აღნიშნული პირობა მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო”ს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 70%-ის ოდენობით. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია საავანსო თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული ,,კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი). ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად;

პროექტით გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ამწე მოწყობილობის დამონტაჟება. შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული უნდა იქნას პირობა: მიმწოდებელი ვალდებულია შემოთავაზებულ მოწყობილობაზე წარმოადგინოს მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული ხარისხის დამადასტურებელი და EN-ის სტანდარტის სერთიფიკატ(ებ)ის ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი და მწარმოებლის მიერ გაცემული გარანტია, რომელიც არ უნდა იყოს 2 წელზე ნაკლები. გარანტიის პირობების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელ ორგანიზაციას. აღნიშნული სერთიფიკატ(ებ)ი მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ინსპექტირების ჯგუფს ამწე მოწყობილობის დამონტაჟებამდე. საგარანტიო პერიოდის მანძილზე მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წუნდებული ამწე მოწყობილობის ან მისი ნაწილის შეცვლა. ამასთან, წუნდებული საქონლის შეცვლა უნდა განხორციელდეს სათანადო შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში; ამასთან, ხარჯთაღრიცხვაში ამწე მოწყობილობის მახასიათებლებიდან ამოღებული უნდა იქნას სიტყვა ,,ევროპული წარმოების”.

ასევე, მნიშვნელოვანია სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებულ იქნას შემდეგი პირობა: „მოსაპირკეთებელ მასალებს (იზოალუმინი, კერამოგრანიტის იატაკის ფილები, საკედლე კერამიკული ფილები, ლამინატი, საღებავები, "მდფ", ჭერის შეკიდული ფილები, სახურავი) და აგრეგატებს უნდა გააჩნდეს ქარხნული ხარისხის, ევროპული სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატები, რომლებიც წარედგინება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირების ჯგუფს“.

სატენდერო კომისიის მიერ მოწონებულ იქნა სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები, რომლებიც დამტკიცების შემდეგ უნდა დარეგისტრირდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია;
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განათავსოს სატენდერო დოკუმენტაცია და ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ განცხადება.
3. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვროს შემდეგი კლასიფიკატორის შესაბამისად: **45200000** - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, **45214300** - კოლეჯების შენობათა მშენებლობა;

კომისიის თავმჯდომარე: **ზვიად როსტომაშვილი**

კომისიის წევრები: **გიორგი შალუტაშვილი**

მამია მორალიშვილი

გიორგი თინაძე

ირმა ხუფენია

ლელა სვიმონია

აპარატის წევრი: **გიორგი გაბიძაშვილი**